

# ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №6  
2022 წლის 3 ივნისი

## ქ. ლაგოდები

„ლაგოდების მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოებში საქმისწარმოების დოკუმენტების უნიფიცირებული ფორმებისა და ტაბელის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

### მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ლაგოდების მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოებში საქმისწარმოების დოკუმენტების უნიფიცირებული ფორმებისა და ტაბელის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №30 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 29.11.2017, 010250020.35.167.016321).

### მუხლი 2

ლაგოდების მუნიციპალიტეტის მერიის „ლაგოდების მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოებში საქმისწარმოების დოკუმენტების უნიფიცირებული ფორმებისა და ტაბელის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის №30 დადგენილების დანართში „ლაგოდების მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოებში საქმისწარმოების დოკუმენტების უნიფიცირებული ფორმები და ტაბელის“ მე-11 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 11. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და მშენებლობის სანებართვო მოწმობა**

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი არის დოკუმენტი, რომლითაც მუნიციპალიტეტში ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი პირი ადგენს და ადასტურებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენის იურიდიულ ფაქტს, ხოლო მშენებლობის სანებართვო მოწმობა არის მუნიციპალიტეტის შესაბამისი საჯარო მოხელის მიერ „ლიცენზიების და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის და „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის №255 დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად გაცემული დოკუმენტი.“.

### მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ლაგოდების მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

კარლო ჯამბურია

